განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღი
05 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი
11 თებერვალი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მეცხოველეობა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მეცხოველეობის მაგისტრი. კვალიფიკაციის კოდი 0103 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული,(გადაწყვეტილება N41, 18.03.2015) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან მაკარაძე,საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ სანიკიძე- UNDP, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნიკა გიგაური - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დარგია,რომლის წვლილი ჯანმრთელი ცხოველისა და უვნებელი ცხოველური სურსათის წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანია.ამასთანავე მეცხოველეობის მიმართულებით კერძო სექტორისა და სამეწარმეო ბიზნეს სექტორის შემდგომი განვითარება სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენს უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების სერიოზულ წყაროს.
მეცხოველეობის მიმართულებით კერძო სექტორის განვითარება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ სფეროში მოფუნქციე საწარმოების კვალიფიციური ვეტერინარი ექიმებითა და მეცხოველე კადრებით უზრუნველყოფაზე.არსებული ინფორმაციით მეცხოველეობის მიმართულებით კერძო სექტორის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის პოტენციურ დონესა და შესაძლებლობებს.მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანია დარგის უზრუნველყოფა მაღალპროდუქტიული ცხოველებითა და შესაბამისი საკვები ბაზით,ვეტერინარულ-სანიტარიული პირობების გაუმჯობესებით და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების უზრუნველყოფით.ამ მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების,მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის როლი და მისია დიდია,ვინაიდან სტუ ახორციელებს სწავლებას მეცხოველეობის მიმართულებით, სწავლების სამ - ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.
სამაგასტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა" შედგენილია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს) და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით:
პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ორი წელია (ოთხი სემესტრი);
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 75 კრედიტი;
კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 45 კრედიტით და მოიცავს:
სამაგისტრო კვლევის პროექტს - პროსპექტუს (5 კრედიტი); თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოქვიუმს (10 კრედიტი);
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).
ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კუთხით.საგანმანათლებლო პროგრამა პასუხობს უნივერსიტეტის მისიას და ხარისხის შიდა სტანდარტებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 4 20 00039164, 16/01/2020 წლისბრძანების„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ" საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი სამი წევრისაგან.

ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმამეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 5

თებერვალს.ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები გაიმართა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ( დაესწრო ოთხი თანამშრომელი); თვითშეფასების ჯგუფთან (დაესწრო შვიდი თანამშრომელი); ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ( ოთხი წარმომადგენელი);პროგრამის განმახორციელებელ მოწვეულ პერსონალთან (ორი წარმომადგენელი); სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ(ორი სტუდენტი) და მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულებთან (ხუთი სტუდენტი); შეხვედრა ვერ განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი გამოუცხადებლობის გამო,ამადროულად ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა გასაუბრებოდა დამსაქმებლის სტატუსით მოვლენილ ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს,რომელთანაც უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს მემორანდუმის გაფორმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
ორგანიზებული იყო ტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამსახველ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურებში და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში.
ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შეხვედრების ორგანიზებულად წარმართვისა და პროფესიულ დონეზე განხორციელებული ინტერვიუებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები,სწავლის შედეგებიმათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება,პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა-მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.3 სასწავლო კურსები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.5 სწავლება და სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.6სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**3. სტუდენტთა მიღწევები,მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთოვნებთან.

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ;

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.3 მატერიალური რესურსები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგომარეობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**5. სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**5.1 შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2 გარე ხარისხის მოთხოვნები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, პროგრამაში ცხრილის სახით განთავსდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები შესაბამისი აქტივობებით და მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
  - საქართველოს მოქმედი კანონდებლობით, მეცხოველეობის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის შესაბამისი წინა საფეხურის საბაზისო განათლება არ არის აუცილებელი და შესაბამისად არ არის სავალდებულო მოთხოვნა. მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდანგამომდინარე მნიშვნელოვანია და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის კუთხით გამართლებული იქნება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ამ შემთხვევაში სტუ-მ მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობად, შიდასაუნივერსიტეტო მოთხოვნად განსაზღვროს წინარე განათლება, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება და სხვა. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების ან/და მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაძღვრა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ცვლილების შემთხვევაში, პროცედურები, სამართლიანობისა და პიროვნების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ვალდებულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეიმუშვოს პროგრამაზე დაშვების ან/და მიღების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე მიღების ან/და დაშვების წინაპირობები და პროცედურები.
  - პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღვოდეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური ან/და მომიჯნავე პროგრამების გამოცდილება და მიღწევები;

- საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არჩევით სასწავლო კურსების ბლოკს, როგორც სპეციალობის, ასევე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან.
- სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით გადაიხედოს სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განაწილების პრინციპი;
- სასწავლო კურსების ნაწილი მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს ლაბორატორიული მეცადინეობის კომპონენტს, მითუმეტეს, რომ პროგრამაში გაწერილი სასწავლო კურსები და პრაქტიკა - 2 ითვალისწინებს ცხოველური სურსათის უსაფრთხოების საკითხებს, რა დროსაც ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვანია.
- განახლდეს საწარმოო პრაქტიკის (მეცხოველეობა 1 და 2) სილაბუსები, კერძოდ: პრაქტიკა „მეცხოველეობა 1-ში" განისაზღვროს წინაპირობა. საწარმოო პრაქტიკის შეფასების სისტემა დაექვემდებაროს კომისიურად შეფასებას, შესაბამისი აქტივობების გაწერით და შემუშავდეს პრაქტიკის ჩატარების ინსტრუქცია ან/და პროგრამა.
- საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსში გამოყენებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების ქულების ერთი და იგივე დონე (მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა; შუასემესტრული გამოცდა- 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა). ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს გადაიხედოს მიმდინარე აქტივობების, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების წილობრივი გადანაწილება. აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნება პრინციპს - ყველა სასწავლო კურსი ერთნაირად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგრანტო პროექტებში ჩართულობის მეტი შესაძლებლობების მიზნით რეკომენდებულია სტუ-მ შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრმები მეცხოველეობის მიმართულებით.
- მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მისი გაუმჯობესების გზების განხილვის მიზნით, ხარისხის გარე შეფასების უზრუნველყოფის პროცესი უნდა მოიცავდეს გარე ექსპერტების შეფასებას და უცხოეთის ან/და ქვეყნის შიდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლება-სწავლის გამოცდილების მონაცემებს, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამას.ასევე, აუცილებელია გაითვალისწინონ წინა აკრედიტაციის პერიოდში (2015 წელს) მიღებული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის გაზრდას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

  - სასურველი იყო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მომხდარიყო თვალნათლივ გამოყოფილი პუნქტების სახით, რაც უფრო აღქმადს გახდიდა პროგრამის მიზნების შესაბამის რუბრიკას, როგორც ეს წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის შედგენისას.
  - პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას, სასურველია შედეგები დიფერენცირებული, ცალკეულ მუხლებად იყოს წარმოდგენილი, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღროთ სწავლის შედეგების რაოდენობა, როგორც ეს წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის შედგენისას.
  - სასურველიაპროგრამაში გაიწეროს პროგრამის შემუშავების ჯგუფის წევრებს შორის მათი უფლება-მოვალეობები სტანდარტების მიხედვით;
  - მიუხედავად იმისა, რომ ცალკე არსებობს დანართი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, მიზანშეწონილია პროგრამაში ნათლად ჩანდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მეტერიალური რესურსების შესახებ.
  - მიზანშეწონილია პროგრამა გაძლიერდეს ბიზნესის სწავლების კუთხით, რისთვისაც სასურველია დამამთავრებელ სემესტრში, თუნდაც მცირე კრედიტის მოცულობით განხორციელდეს სწავლება „ფერმის მენეჯმენტის“ ან/და „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის“ სასწავლო კურსის სახით“.
  - სასურველია გაკეთდეს განმარტებატექნიკურად რამდენად შესაძლებელია მეცხოველეობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდის ისეთი აქტივობის განხორციელება, როგორიცაა „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ და რა რესურსის პირობებში ხორციელდება?;
  - ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურე პერსონალი „პროექტის შემუშავებასა და პრეზენტაციაში“ მოიაზრებს სტუდენტის მიერ თემის მომზადებასა და პრეზენტაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდებში მითითებული აქტივობა შესაბამისად ჩასწორდეს.
  - ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების/აპელაციის შესაძლებლობის შესახებ, სასურველია რომ, ადმინისტრაციამ უზრუნველყოს აღნიშნული საკითხისადმი სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობა.
  - ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია,რომ მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მყოფ აქტიურ სტუდენტთა სწავლის დონის გასაუმჯობესებლად სტუ-მ სასურველია შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრმები მეცხოველეობის მიმართულებით, ასევე მაგისტრატურის სტუდენტთა კონფერენციებსა და პროექტებში ჩართულობის დანიტერესების გაზრდის მიზნით დანერგოს წახილისების მექანიზმი, თუნდაც სამაგისტრო სტიპენდიის დანიშვნის

სახით, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც მაღალი აკადემიური მოსწრება,ასევე კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა;

- ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია “GTU-Tables” მნიშვნელოვანი საინფორმაციო საშუალებაა, მისი ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია მასში დაემატოს სასწავლო მასალის ელექტრონული (PDF) ვერსიები, საგნის სილაბუსები და ასევე შეძლებისდაგვარად სტუდენტებისთვის დანერგოს ელექტრონული ადმინისტრაციული სერვისები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან სამი ზოგად საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს (ინგლისური, ფრანგული, რუსული) კურირებს. ექსპერტთა ჯგუფიმიიჩნევს, რომ სასურველია სპეციალობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის გაზრდა.
- სასურველია გადაიხედოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტების ნუსხა, მისი მრავალმხრივობის გაზრდის კუთხით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს მრავმხრივი განათლება და ითვალისწინებს მომზადდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი,რომელიც ორიენტირებული იქნება თეორიული ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე და მეცხოველეობის სფეროში წარმატებულ საქმიანობაზე, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას.<br>მიღებული ცოდნის საფუძველზე ძირითად მიზანს წარმოადგენს ცხოველებისა და ფრინველების კვების, საკვებისა და თანამედროვე მოშენების ტექნოლოგიების ათვისება და მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა-გაუმჯობესება.სწავლების ერთ-ერთი მიზანია ასევე ,ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარება.<br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ნათლად ჩამოყალიბების მიზნით ფაკულტეტი ატარებდა კონსულტაციებს დამსაქმებლებთან და ამ სფეროს განვითარებით დაინტერესებულ პიროვნებებთან, რაც საშუალებას იძლევა პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს გუნდური მიდგომის პრინციპით.<br>მთლიანობაში პროგრამის მიზნების განხორციელება მიმართულია თუ რა კომპეტენციისა და უნარების სპეციალისტის ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული სწავლება-სწავლის პროცესი,რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის #199/ნ ბრძანება;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php;<br>➢ აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;<br>➢ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;<br>➢ პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრები;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; |

- აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
  - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველი იყო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მომხდარიყო თვალნათლივ გამოყოფილი პუნქტების სახით,რაც უფრო აღქმადს გახდიდა პროგრამის მიზნების შესაბამის რუბრიკას, როგორც ეს წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის შედგენისას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს სწავლების სხვადასხვა სფეროებს,როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულს.ვიზიტის დროს შეხვედრებმა დაგვარწმუნა,რომ სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი,სტუდენტები და კურსდამთავრებულები.კარგი იქნებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შედგენისას გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი მიმართულებით მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება და მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა-გათვალისწინება.სასწავლო კურსები ძირითადში პროგრამით დასახული მოსალოდნელი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია თუ რა ცოდნას და უნარ-ჩვევებს შეიძენს მაგისტრი პროგრამის დასრულების შემდეგ.პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადში შესაბამება პროგრამის მიზნებს,არის გაზომვადი და მიღწევადი, ასევე შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.მიუხედავად იმისა,რომ უნივერსისტეტს გააჩნიაა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი,პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში არ ჩანს თუ რომელი დავალებით ,აქტივობებით, როდის და ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება თითოეული სწავლის შედეგი.

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისჩარჩოში არ არის დიფერენცირებული სწავლის შედეგები, რის გამოც არ ხერხდება განისაზღვროს პროგრამა რამდენ სწავლის შედეგზეა ორიენტირებული, თუმცა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის შედგენისას დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი, როგორც სწავლის შედეგები, ასევე პროგრამის მიზნები. ასევე, მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სასურველია მოხდეს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამიჯვნა.

მთლიანობაში სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, გამოხატავს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური მეცხოველეობის მაგისტრის მოსამზადებლად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და შესაბამის დონეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს განათლების,მეცნიერებისა,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69 ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.ge/2018 2019/II/B/info ;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის #2691 დადგენილებით დამტკიცებული “სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- დამსაქმებლის,სტუდენტის,პერსონალის გამოკთხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევის შედეგები
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, პროგრამაში ცხრილის სახით განთავსდეს პროგრამის თითოელი სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებიშესაბამისი აქტივობებით და მათი სამიზნე ნიშნულებთანდადარება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას, სასურველია შედეგები დიფერენცირებული,ცალკეულმუხლებად იყოსწარმოდგენილი,რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღროთ სწავლის შედეგებისრაოდენობა, როგორც ეს წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის შედგენისას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

| **შეფასება** |
| --- |
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშიასაქართველოს კანომდებლობასთან და ამ მიმართულებით გამოცემულ საკანონმდებლო და ნორმატიულ,მათ შორის სტუ-ს საუნივერსიტეტო აქტებთან და რეგულაციებთან. ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.დარეგულირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“;<br>➢ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის #199/ნ ბრძანება;<br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის #2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;<br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის #482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგეტისა და მობილობის ინსტრუქცია“;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/<br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ საქართველოს მოქმედი კანონდებლობით, მეცხოველეობის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის შესაბამისი წინა საფეხურის საბაზისო განათლება არ არის აუცილებელი და შესაბამისად არ არის სავალდებულო მოთხოვნა. მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდანგამომდინარე მნიშვნელოვანია და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის კუთხით გამართლებული იქნება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ამ შემთხვევაში სტუ-მ მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობად, შიდასაუნივერსიტეტო მოთხოვნად განსაზღვროს წინარე განათლება, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება და სხვა. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების ან/და მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაძღვრა.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ცვლილების შემთხვევაში, პროცედურები, სამართლიანობისა და პიროვნების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ვალდებულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეიმუშვოს პროგრამაზე დაშვების ან/და მიღების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე მიღების ან/და დაშვების წინაპირობები და |

| |
|---|
| პროცედურები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურიადა შეიცავს ინფორმაციას პროგამის მიზნების, სწავლის შედეგების, კვალიფიკაციის, დაშვების წინაპირობების,შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ სწავლის მეთოდების და შესაბამისი აქტივობების შესახებ, ფინანსურ საკითხებს და სხვა. მთლიანობაში მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და შეესაბამება ამ მიმართულებით გამოცემულ საკანომდებლო,კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს („უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შსახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის #07/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #102/ნ,18/08/2016 წელი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაცი საბჭოსა და მაგისტრატურის დებულება; სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი #4107 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია"; სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და და დანერგვა „პრაქტიკული სახელმძღვანელო", 2006 წელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები.სამაგასტრო პროგრამა ,მეცხოველეობა" მოიცავს 120 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს) და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით:

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ორი წელია (ოთხი სემესტრი);

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, დათმობილი აქვს 75 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 45 კრედიტით და მოიცავს:

სამაგისტრო კვლევის პროექტს - პროსპექტუს (5 კრედიტი); თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოქვიუმს (10 კრედიტი);

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ.პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუქა,სადაცმითითებულია,თუ რომელი საწავლო კურსი და პროგრამაში გაწერილი სამეცნიერი-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის,მოიცავს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის მიღწევებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეამჩნიეს,რომ პროგრამის შემუშავების ჯგუფის წევრებს შორის არ არის გაწერილი მათი ფუნქცია-მოვალეობები, ასევე მნიშვნელოვანია პროგრამას ქონდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი და ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაცია დეტალურად.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“<br>➢ სასაწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაცი საბჭოსა და მაგისტრატურის დებულება.ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე http://gtu.ge/Learning/debuleba magistraturis shesacheb.php<br>➢ მაგისტრანტის, პერსონალის სამუშაო გეგმა. http:/gtu.ge/pdf//magistraturis debuleba danarti 3pdf<br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი #4107 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.<br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ პროგრამის შედგენასწინ უნდა უძღვოდეს კვლევა,რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური ან/და მომიჯნავე პროგრამების გამოცდილება და მიღწევები;<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არჩევით სასწავლო კურსების ბლოკს, როგორც სპეციალობის, ასევე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან.<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>➢ სასურველიაპროგრამაში გაიწეროს პროგრამის შემუშავების ჯგუფის წევრებს შორის მათი უფლება-მოვალეობები სტანდარტების მიხედვით;<br>➢ მიუხედავად იმისა, რომ ცალკე არსებობს დანართი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ,მიზანშეწონილია პროგრამაში ნათლად ჩანდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მეტერიალური რესურსების შესახებ.<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

ი

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მოთხოვნების მიხედვით. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს,რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს,ხოლო 1 კრედიტი მოიცავს სტუდენტის საწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. დაცულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების პრინციპი,კერძოდ: კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა სასწავლო კურსები, პრაქტიკა, კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომი და სხვა) და ძირითადად ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად. სასწავლო კურსების შერჩევისას დაცულია პრინციპი, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსებში სწავლის შედეგი არის გაზომვადი, განსაზღვრულია ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომელიც აღწერილია შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსების კურიკულუმში განთავსებისას დაცულია პრერეკვიზიტის პრინციპი.ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია,რომ ყველა სასწავლო კურსისათვის ერთიდა იგივე კრედიტის მინიჭება (5 კრედიტი) არ შეიძლება სასწავლო კურსის

| |
|---|
| შინაარსის ადეკვატური იყოს, აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგებისა გაცნობისას ნათლად ჩანს, რომ ყველა სასწავლო კურსი ერთნაირი მნიშვნელობის არ არის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.<br>სასწავლო კურსის სილაბუსები და მასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია პროგრამა გაძლიერდეს ბიზნესის სწავლების კუთხით, რისთვისაც სასურველია დამამთავრებელ სემესტრში, თუნდაც მცირე კრედიტის მოცულობით განხორციელდეს სწავლება „ფერმის მენეჯმენტის“ ან/და „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის“ სასწავლო კურსის სახით“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“;<br>➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>➢ საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაცი საბჭოსა და მაგისტრატურის დებულება.ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე http://gtu.ge/Learning/debuleba magistraturis shesacheb.php;<br>➢ მაგისტრანტის,პერსონალის სამუშაო გეგმა .http://gtu.ge/magistraturis debuleba danarti 3 pdf .<br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით გადაიხედოს სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განაწილების პრინციპი;<br>➢ სასწავლო კურსების ნაწილი მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს ლაბორატორიული მეცადინეობის კომპონენტს, მითუმეტეს, რომ პროგრამაში გაწერილი სასწავლო კურსები და პრაქტიკა - 2 ითვალისწინებს ცხოველური სურსათის უსაფრთხოების საკითხებს, რა დროსაც ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვანია. |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია პროგრამა გაძლიერდეს ბიზნესის სწავლების კუთხით, რისთვისაც სასურველია დამამთავრებელ სემესტრში, თუნდაც მცირე კრედიტის მოცულობით განხორციელდეს სწავლება „ფერმის მენეჯმენტის“ ან/და „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის“ სასწავლო კურსის სახით“.

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

| 2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით განმტკიცება. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ირკვევა,რომგამოყენებულია პრაქტიკის შერეული მოდელი,რაც გულისხმობს სასწავლო კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკას (სასწავლო კურსებში პრაქტიკული მეცადინეობები) პლუს დარგობრივი პრაქტიკა (მეცხოველეობა 1 და მეცხოველეობა 2). პრაქტიკის ასეთი მოდელი |

შესაძლებლობას იძლევა თავიდან ავიცილოთ ის რისკები,რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს პრაქტიკის მიმდინარეობის დროს.პრაქტიკის ეფექტურად ჩატარების მიზნით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთ თანამშორმლობის შესახებ. პრაქტიკის სილაბუსების გაცნობისას ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მეცხოველეობა - 1 პრაქტიკის კომპონენტს არ გააჩნია წინაპირობა,რაც ფაქტიურად გულისხმობს იმას, რომ სტუდენტ მაგისტრანტს შუძლია პრაქტიკის ობიექტზე განახორციელოს ვიზიტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ექნება დადებითი შეფასებები პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში, რაც დაუშვებელია და უნდა გასწორდეს.ასევე ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს საწარმოო პრაქტიკის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ფაქტიურად არ განსხვავდება სასწავლო კურსების შეფასების სისტემისაგან. ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებით პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ მიღებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაბამისი შედეგები უნდა შეფასდეს კომისიურად პრაქტიკის დასრულების შემდეგ, ასევე უნდა შემუშავდეს საწარმოო პრაქტიკის (მეცხოველობა1 და 2) ჩატარების ინსტრუქცია ან/და პროგრამა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ყველა დეტალი, კერძოდ: სტუდენტის, ან/და სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისა და გადანაწილების პროცესი,პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა,პრაქტიკის ობიექტზე თითოეულ პრაქტიკულ კომპონენტში დახარჯული დრო და აქტივობები,პრაქტიკის ხელმძღვანელ(ებ)ისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობები პრაქტიკაზე ყოფნის პერიდში, პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონიტორინგი და შეფასება და ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტუკული უნარების შედეგების შეფასების სისტემა,რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კომისიურ განხილვა-შეფასებას და სხვა.

მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე, რომელსაც დათმობილი აქვს კრედიტების სოლიდური ნაწილი - 45 კრედიტი, სწავლება მიმართულია მაგისტრანტის სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებაზე.კვლევით კომპონენტში განსაკუთრებით ადგილი უკავია სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულების მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომს დათმობილი აქვს კრედიტების სოლიდური ( 30 კრედიტი) რაოდენობა და სრულად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის შინაარსს და კვლევითი უნარებისა და დაგეგმვისათვის აუცილებელ სამუშაო დროს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბების მიზნით პროგრამაში გაწერილია კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკულ-ლაბორატორიული კურსები: სამაგისტრო კვლევის პროექტი-პროსპექტუსი 5 კრედიტი; თეორიულ/ექსპერიმენტულიკვლევა/კოლოქვიუმი - 10 კრედიტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“

- სასაწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- პრაქტიკის ობიექტები: ზოოლოგიური პარკი, კავკასიის გენეტიკის ინსტიტუტი,კლინიკა „აბვეტი“, მეღორეობის ფერმა „ქიტოშვილი“, სოფლის მეურნეობის ლაბორატორია, მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმა (დანართი 2,დანართი 10).

**რეკომენდაციები:**

- განახლდეს საწარმოო პრაქტიკის (მეცხოველეობა 1 და 2) სილაბუსები,კერძოდ: პრაქტიკა „მეცხოველეობა 1-ში“განისაზღვროს წინაპირობა. საწარმოო პრაქტიკის შეფასების სისტემა დაექვემდებაროს კომისიურად შეფასებას,შესაბამისი აქტივობების გაწერით და შემუშავდეს პრაქტიკის ჩატარების ინსტრუქცია ან/და პროგრამა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლება-სწავლის მეთოდების (ლექცია, პრაქტიკული, პრაქტიკა, კონსულტაცია, დამოუკდებელი მუშაობა) და შესაბამისი აქტივობების (დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming)გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს,რომ სწავლება ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდით,რაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს,სასწავლო კურსის შინაარსს და მთლიანობაში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობასიძლევა.

ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება მიიპყრო სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდის ისეთმა მნიშვნელოვანმა აქტივობამ,როგორიცაა „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“,რომელსაც ძირითადში სამედიცინო,მათ შორის სავეტერინარო სწავლებაში იყენებენ და ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია,ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანია ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება მეცხოველეობისსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და რა რესურსის პირობებში ხორციელდება?. ასევე, ყველა სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდებში მითითებულია აქტივობა „პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია“, მაშინ როდესაც შესაბამისი სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს პროექტის განხორციელებას. ამასთანავე, იმტერვიუების დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურე პერსონალი „პროექტის შემუშავებასა და პრეზენტაციაში“ მოიაზრებს სტუდენტის მიერ თემის მომზადებასა და პრეზენტაციას.აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდებში მითითებული აქტივობა შესაბამისად ჩასწორედეს.

საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები და ინტერვიუები სტუდენტებთან მიანიშნებს, რომ სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“;
- სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსები);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf

**რეკომენდაციები:**

